



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



20-85

დადგენილება № ---

“ _ 30 _ ” _ დეკემბერი _ 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების
საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების
წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის
61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის მე-2 შესაბამისად,
„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, საქართველოს
საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-6 ნაწილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი
ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის
გადანაწილების წესი“, დანართის შესაბამისად.


მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის ბიუჯეტით გამოყოფილი
ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებსა და მუხლებს შორის გადანაწილების
წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2014 წლის 26 მარტის №09.03.371
დადგენილება (სსმ 190020020.37.101.01€183, 26.03.2014 წ.)

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

 გიორგი ალიბეგაშვილი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების
საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების
წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე.

2. წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების მექანიზმს.

მუხლი 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების ძირითადი პრინციპები

1. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის, წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

2. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.

3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, (გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა) და ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს:

ა) ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის გადანაწილება რომელიც არ აღემატება 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის განკარგულების შესაბამისად;

ბ) ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის გადანაწილება, რომელიც აღემატება 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან შეთანხმების შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების შესაბამისად.

4. ერთი პროგრამის ფარგლებში:

ა) ქვეპროგრამებს შორის გადანაწილება, რომელიც არ აღემატება 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე;

ბ) ქვეპროგრამებს შორის გადანაწილება, რომელიც აღემატება 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან შეთანხმების შემდეგ;

5. პრიორიტეტის პროგრამისა და ქვეპროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ქვეპროგრამებს შორის გადანაწილება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ.

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური უფლებამოსილია:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან შეთანხმებით მოამზადოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი და განკარგულების საფუძველზე განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში;

ბ) მოამზადოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი და განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის: პროგრამული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ გადასახდელებში და შემოსულობებში. განხორციელებული ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის

დასრულებისა, ცნობის სახით უნდა წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

გ) მოამზადოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანების ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი და ბრძანების ან განკარგულების საფუძველზე, შესაბამისად ბიუჯეტის სარეზერვო ან წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი ასიგნებებით დააზუსტოს ბიუჯეტი.

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებულ კვარტალურ განწერაში კვარტალებს შორის გადანაწილებას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან შეთანხმებით.

მუხლი 3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების მოთხოვნის წარდგენა, განხილვა და შესრულება

1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები, მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ასიგნებების გადანაწილების თაობაზე. წარდგენილ მოთხოვნაში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოყვანილი უნდა იქნეს სათანადო არგუმენტაცია და შესაბამისი დასაბუთება ასიგნებების გადანაწილებისა და მასზე ვალდებულების აღების არარსებობის თაობაზე.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ასიგნებების გადანაწილებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, საბიუჯეტო ორგანიზაციამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დასაბუთებული მომართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული

პირობების შემთხვევაში, ამზადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების პროექტს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დასაბუთებული მომართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, ამზადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების პროექტს.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახური ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებულ შემთხვევებში ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საფინანსო საქალაქო სამსახური ამზადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტს, ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ საფინანსო საქალაქო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

7. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში შესაბამისი არგუმენტაციისა და დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, ერთსა და იმავე პროგრამაში/ქვეპროგრამაში ხარჯების ეკონომიკურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციების მუხლებით და ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ ასიგნებებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური (საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის შესაბამისი ბრძანება) უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ცვლილებები ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

8. მოთხოვნა წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებათა გადანაწილების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს წარედგინება წერილობითი სახით, შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ. საბიუჯეტო ორგანიზაციას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა წერილის შინაარსსა და ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების მიზანშეწონილობაზე.

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილება განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან შესათანხმებელი საკითხების შემთხვევაში, შეთანხმებიდან არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა, ამზადებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტს ასიგნების გადანაწილებაზე, ხოლო გადანაწილებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ საბიუჯეტო ორგანიზაციას ეცნობება წერილობით.

10. წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები ზუსტდება ამ წესით გათვალისწინებული გეგმის ცვლილების ცნობით (დანართი 1). ცვლილების ცნობა დგება ოთხ ეგზემპლარად. გეგმის ცვლილების ცნობის პირველი ეგზემპლარი რჩება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილებას, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სახაზინო განყოფილებას, ერთი ეგზემპლარი – აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებას და ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციას.

11. გეგმის ცვლილების ცნობით ასევე ზუსტდება ბუჯეტის სარეზერვო და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებით გათვალისწინებული ასიგნებები. ამ შემთხვევაშიც წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნების გაცემა ხორციელდება ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად.

12. ბიუჯეტის სარეზერვო და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდების ასიგნების საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

20 წლის “_” _____

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

(ცვლილების საფუძველი_დადგენილება, განკარგულება, ბრძანება, გადაწყვეტილება)

20 წლის “_” _____

(ცვლილების შინაარსი

(ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილების თანხა +/- (გადიდებული, შემცირებული)				
			წლიური გეგმა	მათ შორის:			
				კვარტალების მიხედვით			
				I	I	I	I
						II	V
ჯამი							

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან
2. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან
3. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა
4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილე

საბიუჯეტო განყოფილების უფროსი:

პასუხისმგებელი შემსრულებელი:

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ახალ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ (შემდგომში - კოდექსი) შესაბამისობაში მოყვანით, ვინაიდან კოდექსის 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალებათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ორგანულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესი, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების მექანიზმს.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი